

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2019 წლის 09 იანვრის №01-03/01 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება (შემდგომში - „განყოფილება“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებსა და ამოცანებს, მართვის ორგანიზაციას და სტრუქტურას, აგრეთვე, განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
3. „უნივერსიტეტი“-ის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები

1. განყოფილების ფუნქციებია:

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული საკითხების შესრულება, უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
- საქართველოში წარმოდგენილ უცხოურ ორგანიზაციებთან: საელჩოებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა;
- საქართველოში აკრედიტებული უცხოური მისიების, საელჩოების და სააერთაშორისო ორგანიზაციებზე საინფორმაციო ბანკის შექმნა-წარმოება-განახლება;
- პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების ქსელის შექმნა და გაფართოება;
- ურთიერთთანამშრომლობის გეგმის შემუშავება, მემორანდუმების გაფორმება;
- ერთობლივი პროგრამების/კურსების შექმნის შესაძლებლობების მოძიება და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა საბაკალავრო/სამაგისტრო დონეებზე;
- უნივერსიტეტის ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა/ორგანიზება;
- აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა/ ორგანიზება;
- სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლებისათვის მასტერ-კლასების, ტრენინგების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება/ხელშეწყობა;
- სტუდენტთა მუდმივი ინფორმირება საზღვარგარეთ სასწავლებლად გამოცხადებული/არსებული ფონდების, გრანტებისა და სტიპენდიების შესახებ;
- უცხოელი სტუმრების დახვედრის, მიღების ორგანიზება. მათთვის სამუშაო/კულტურული პროგრამის შემუშავება/რეალიზება;
- სხვა უფლებამოსილებების განხორციელება კანონისა და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

2. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება უფლებამოსილია გამოითხოვოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისაგან მისი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

3. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება უფლებამოსილია კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ზომები აღმოჩენილი დარღვევებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მუხლი 3. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების მართვა და სტრუქტურა

1. „უნივერსიტეტი“-ის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი. უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ახორციელებს განყოფილების უფროსის მოადგილე.

2. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია რექტორის, პრორექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წინაშე.

3. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების მუშაობას უზრუნველყოფს განყოფილების უფროსი და უფროსის მოადგილე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

- **საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი:**

- ა) უზრუნველყოფს განყოფილების ძირითადი ფუნქციების და მოვალეობების განხორციელებას;
- ბ) აძლევს მითითებებსა და დავალებებს მოადგილეს.

- **საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოადგილე:**

- ა) ასრულებს განყოფილების უფროსის მითითებებსა და დავალებებს;
- ბ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს კანონისა და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

განყოფილების დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება „უნივერსიტეტი“-ის რექტორის ბრძანებით.